მწვანე ალტერნატივა

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ნაღირობა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველებზე

თბილისი
2013

ანგარიში მოამზადა მწვანე ალტერნატივამ ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს” მხარდაჭერით განხორციელებული კოალიციური პროექტის – „ელიტური კორუფციისა და ბიზნესზე სახელმწიფო ზეწოლის შემთხვევების გამოვლენა” – ფარგლებში. კოალიციური პროექტის პარტნიორი ორგანიზაციებია: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, მწვანე ალტერნატივა, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ფონდი ”ღია საზოგადოება-საქართველოს” ან პარტნიორი ორგანიზაციების შეხედულებათა ამსახველად.

ავტორი: ირაკლი მაჭარაშვილი

© მწვანე ალტერნატივა, 2013

სარჩევი

შესავალი 2

საკანონმდებლო წანამძღვრები 5

ნადირობის ახალი სისტემა და მასთან დაკავშირებული საფრთხეები 8

გარემოსდაცვითი ორგანიზაციები ახალი კანონმდებლობის წინააღმდეგ 10

საქართველო მონადირეთა 2012 წლის საერთაშორისო ფორუმზე 12

„Safari“-ის საფარქვეშ 13

არშემდგარი ნადირობა 27

ბოლოთქმა 19

ნადირობა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველებზე

შესავალი

განვითარებად ქვეყნებში კორუფცია ბუნებრივი რესურსების მართვის თანამდევი მოვლენაა და ეს საკითხი კარგად არის დოკუმენტირებული შესაბამის კვლევებში[1]. სატყეო სექტორში კორუფცია ძალზე სიღრმისეულადაა შესწავლილი ინდონეზიის მაგალითზე[2]. კორუფციის შემცირების კომისიის ანგარიშის მიხედვით[3], სატყეო სექტორში კორუფციისა და ფულის გათეთრების შედეგად ინდონეზიამ 100 მილიარდი დოლარი იზარალა.

ამ მხრივ საქართველოც არ იყო გამონაკლისი. საქართველოს უახლეს ისტორიაში სატყეო სექტორი ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული დარგი იყო, რაც იმ საფრთხეების პარალელურად, რასაც ტრადიციულად სახელმწიფოებისათვის შეიცავს კორუფცია, ხანგრძლივი მოქმედების საშიშროებას უქმნიდა გარემოსა და მომავალი თაობის ინტერესებს[4].

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, კორუფციასთან ბრძოლა მმართველი პოლიტიკური გუნდის მიერ დეკლარირებული იქნა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა. 2004 წლის 25 იანვარს თავისი ინაუგურაციის დღეს გამართულ ცერემონიალზე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის ძირითად ამოცანად კორუფციასთან ბრძოლა დასახა: “ჩვენ უნდა გავერთიანდეთ იმისათვის, რომ გავძლიერდეთ, უნდა ავაშენოთ ადამიანის უფლებების დაცვაზე და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ძლიერი დემოკრატია, ჩვენ უნდა ამოვძირკვოთ კორუფცია. ჩემთვის ყოველი კორუმპირებული ადამიანი, დღევანდელ ეტაპზე, ეროვნული ინტერესების მოღალატეა. ჩვენ ამოვძირკვავთ კორუფციას და შევცვლით სისტემას, რომელმაც კორუფციის მანკიერი წრე წარმოქმნა.” შესაბამისი ამოცანები განისაზღვრა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში: ”მმართველობის დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელია სახელმწიფო სექტორში კორუფციის შემცირების გარეშე, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხელისუფლების გამჭვირვალეობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა და შესაბამისი სოციალური გარანტიების მქონე, ძლიერი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება”.

თუმცა, ცალკეულ სფეროებში კორუფციასთან ბრძოლას მხოლოდ დეკლარირებული ხასიათი ქონდა, რამაც, როგორც მოსალოდნელი იყო, არ მოიტანა ხელშესახები შედეგები. ეს საკითხი ყველაზე კარგად ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან, განსაკუთრებით თვალნათლივ, კი სატყეო სექტორთან დაკავშირებულ საკითხებში გამოჩნდა. სამწუხაროდ, რეალობა, ტრადიციულად, განსხვავდებოდა სხვადასხვა დოკუმენტებში ხატოვნად აღწერილი გეგმებისაგან; კორუფციასთან ბრძოლა გაიგივებული იყო მხოლოდ რეპრესიულ ზომებთან (მაგ. კორუმპირებული ჩინოვნიკების სამსახურიდან დათხოვნა და/ან პასუხისგებაში მიცემა) და სახელმწიფო უწყებების დაუსრულებელ სტრუქტურულ ცვლილებებთან, რასაც არ ახლდა შესაბამისი ნაბიჯები “ხელისუფლების გამჭვირვალეობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდასთან“ დაკავშირებით. ამის საპირისპიროდ, ბოლო წლებში კიდევ უფრო გაუარესდა სატყეო სექტორში გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობისა და გამჭვირვალობის უზრუნველმყოფი კანონმდებლობა და პრაქტიკა[5]. საზოგადოებას კარგად ახსოვს ბოლო წლების განმავლობაში სატყეო სექტორთან დაკავშირებული რამდენიმე ხმაურიანი დაპატიმრება. თუმცა, არ მომხდარა კორუფციის წარმოშობის მიზეზებისა და მექანიზმების ზუსტი იდენტიფიკაცია და ამ გზით მათ აღმოსაფხვრელად კონკრეტული ქმედებების დაგეგმვა-განხორციელება.

კორუფცია შეიძლება გავრცელებული იყოს მთელს სისტემაში, დაწყებული სანებართვო დოკუმენტაციის გაცემიდან, დამთავრებული კანონშემოქმედებამდე. ნებისმიერი ტიპის ხელისუფლებაში შესაძლოა გავრცელებული იყოს პოლიტიკური კორუფცია. კორუფციის ფორმები განსხვავებულია, მაგრამ მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია მფარველობა, მექრთამეობა, გამოძალვა, ძალაუფლებით ვაჭრობა (სასურველი სარგებლის სანაცვლოდ “საჭირო” გადაწყვეტილების მიღება), თაღლითობა, სახელმწიფო თანხების გაფლანგვა/მითვისება, თანამდებობებზე ნაცნობობით დანიშვნა და ნეპოტიზმი. ამას გარდა,

[1] Charles Palmer, The Nature of Corruption in Forest Management World Economics, Vol. 6, Number 2, 2005, p. 1 – 10.

[2] მაგალითისთვის იხ. EIA International-ის კვლევები: www.eia-international.org

[3] http://www.eyesontheforest.or.id/?page=news&action=view&id=586

[4] საქართველოს სატყეო სექტორის პრობლემები: უკანონო ქმედებები და კანონთა შორის კოლიზიები, 2006, ასოციაცია მწვანე ალტერნატივა, ტბილისი, 52 გვ.

[5] მაჭარაშვილი ი. 2012. ტყის მართვა საქართველოში: პრობლემები და გამოწვევები, მწვანე ალტერნატივა, 58. გვ. http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/tyis_martva_saqartveloshi_problemebi_da_gamowvevebi.pdf

შესაძლებელია სატყეო დარგში კორუფციის ხელშემწყობი რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გამოყოფა, რომელთა შორისაცაა სოციალური პრობლემები, კანონმდებლობისა და კანონის აღსრულების ხარვეზები, არასწორი, არადემოკრატიული მმართველობა, სხვადასხვა გავლენიანი ჯგუფების ფინანსური და პოლიტიკური ინტერესები.

ამ საკითხებთან ერთად, საქართველოსთან მიმართებაში აღსანიშნავია სატყეო სექტორთან დაკავშირებული სპეციფიური პრობლემები: ეროვნული სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის არარსებობობა; სატყეო სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობის შეუსაბამობა ტყეების მდგრადი მართვის პრინციპებთან; ტყის ფონდის ფაქტობრივ მდგომარეობის შესახებ ობიექტური და სარწმუნო ინფორმაციის არარსებობა (ქვეყნის ტყის ფონდის უმეტეს ნაწილში ტყეთმოწყობა არ ჩატარებულა 10 წელზე მეტ ხნის განმავლობაში. სახელმწიფო არ ფლობს ინფორმაციას სატყეო ფონდის – ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 40%-ის მდგომარეობის შესახებ); ტყეების კატეგორიზაციის გაუგებარი სისტემა და სხვ. ყოველივე ამის გამო, დღეისათვის დამკვიდრებული ტყითსარგებლობის პრაქტიკა ხელს უშლის სატყეო სექტორში დასაქმებულ მეწარმეებს შორის ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას; პრობლემებს უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას; არ არის გათვალისწინებული გარემოსდაცვითი შედეგები, რამაც შესაძლებელია ტყის ეკოსისტემების დეგრადაცია და საბოლოოდ ადამიანს მიერ პროვოცირებული ეკოლოგიური კატასტროფები გამოიწვიოს.

2004–დან 2011 წლამდე სატყეო სექტორის კურატორი სამინისტროს ხელმძღვანელობა შვიდჯერ შეიცვალა. ყველა მათგანი თავის მოღვაწეობას სატყეო რეფორმით იწყებდა, მაგრამ ახალი მინისტრის მიერ დაწყებული რეფორმების შინაარსი და მიმართულება ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა მისი წინამორბედისას. შედეგად, არათუ არ გაუმჯობესებულა სატყეო სექტორის მართვა, არამედ გარკვეულ საკითხებში გაუარესდა კიდევაც, რაც აისახა კიდეც ტყის ეკოსისტემების მდგომარეობაზე.

2010 წლის ბოლოს სატყეო სექტორში დასაქმებული მაღალჩინოსნების დაპატიმრების ფაქტს საკმაოდ მწვავედ გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. მან წინა წლებში განხორციელებულ სატყეო რეფორმებს "ჩაფლავება" უწოდა და აღიარა, რომ სატყეო სექტორში არის გამეფებული სისტემური კორუფცია, ხოლო კონტროლისა და მონიტორინგის სისტემა – უვარგისი[6]. სააკაშვილმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოში მხოლოდ სატყეო სფეროში ვერ მყარდება წესრიგი და კვლავაც სისტემური კორუფციაა. მან დაავალა მთავრობას უახლოეს დღეებში წარმოედგინათ სამინისტროს რეორგანიზაციის გეგმა და იქვე დასახა კიდევაც მომავალი რეფორმისა და სტრუქტურის კონტურები: „სატყეო დეპარტამენტში რომ სრული განუკითხაობაა, ამაში ეჭვი საერთოდ არ მეპარება. ის, რომ სამას კაციან სამსახურში 110 ადამიანს დააპატიმრებენ, კონკრეტული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. ყოველი მესამე ადამიანი ამ სამსახურში დაპატიმრებულია და მინდა ვთქვა, რომ კიდევ ასია დასაჭერი. არ მინდა ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ საქმიდან ასე ჩანს. საქართველოში ყველამ იცის, რომ სატყეო დეპარტამენტი ის ადგილია, სადაც წესრიგი ვერაფრით ვერ დავამყარეთ. წესრიგი დავამყარეთ პოლიციაში, ასევე საბაჟოზე... ერთადერთი ადგილი, სადაც ქრონიკულად ვერ ვამყარებთ წესრიგს, არის ტყე. როდესაც ლაპარაკია 30-40-100 ლარიან ქრთამზე, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ კორუფციის დონე დაბალია, არამედ იმას, რომ აქ კორუფცია სისტემურია და მასში ყველაა ჩართული... გთხოვთ, წარმომიდგინოთ სამინისტროს რეორგანიზაციის გეგმა, რადგან რამდენიმე სხვა სამინისტროს სფეროების გადაფარვა ხდება. ტყე უნდა ჩამოყალიბდეს მომგებიან ბიზნესად, მაგრამ კარგად კონტროლირებად ბიზნესად. უკონტროლობა სისტუსტისა და ჭკუასუსტობის ნიშანია. ეს უნდა იყოს ბიზნესი, რომელიც რეალურად არჩენს ქვეყანას, მეტყევეებს და მუშაობს ხალხისთვის. ბევრჯერ ვყოფილვარ შვედეთში და თვითმფრინავიდანაც ჩანს როგორ მუშაობს სატყეო დეპარტამენტი - ტყე ზოგან გაჩეხილია, ზოგან ახალია და ზოგან ძველი, მაგრამ კარგად მოვლილი. ამას სახელმწიფო მკაცრად არეგულირებს და არ დაიჯეროთ, რომ სხვაგვარად შესაძლებელია. მხოლოდ საბჭოთა კავშირში არ რეგულირდებოდა არაფერი, საბაზრო ეკონომიკის შემთხვევაში კი, ყველაფერი მკაცრად რეგულირდება და ხალხის საკეთილდღეოდ. მინდა პირდაპირ ვთქვა, რომ თქვენ ეს სფერო ჩააფლავეთ. ამ სამინისტროში ყველაფერი უნდა შეიცვალოს. პრემიერ-მინისტრი საქმის კურსშია, მაქსიმუმ, წლის დამლევამდე დასხედით ყველა ერთად და წარმოადგინეთ იმის გეგმა, როგორ უნდა შეიცვალოს სისტემა. ბევრს წასვლა მოუწევს, ფუნქციები გადანაწილდება და საერთოდ, ბევრი საკითხი უნდა დაისვას სტრუქტურული თვალსაზრისით"[7].

პრეზიდენტის ამ განცხადების შემდეგ განხორციელდა მთავრობის სტრუქტურის ცვლილება და სატყეო სექტორი გადავიდა ახალი – ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კომპეტენციაში.

მწვანე ალტერნატივას, ასევე სხვა ორგანიზაციების, მათ შორის საერთაშორისო კვლევებში და ჟურნალისტურ გამოძიებებში აღწერილია არაერთი შემთხვევა, სადაც მოთხრობილია საქართველოს სატყეო სექტორთან

---

[6] „მიხეილ სააკაშვილმა მთავრობას გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაცია დაავალა", 18 დეკემბერი 2010 11:12:22, http://www.heretifm.com.

[7] წყარო: საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებ-გვერდი: http://www.president.gov.ge

დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტების შემთხვევები. მათ შორისაა: საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობის - წაბლის ჭრაზე გაცემული ლიცენზიებისა და ხელშეკრულებები; ხე-ტყის დამზადების მრავალწლიანი ლიცენზიების გაცემა კომპანიებზე, რომლებშიც ამ ლიცენზიების გამცემი თანამდებობის პირები აგრძელებდნენ მუშაობას; ახალი ტყის კოდექსის შემუშავება გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრის - დავით ჩანტლაძის კომპანიის მიერ, რომელსაც პირდაპირი მიყიდვის წესით დაუკვეთა ეს საქმიანობა ბუნებრივი რესურსების სააგენტომ და ა.შ.

ბოლო წლებში (2010 წლიდან) ტრადიციული ტყითსარგებლობის ფორმებს, როგორებიცაა ხე-ტყის მოპოვება საშეშე და სამასალე მერქნის დამზადების მიზნით, ძოვება - (რომლებიც უკანონო და არამდგრადი მეთოდებით წარმოების გამო უზარმაზარ ზიანს აყენებდნენ გარემოს) დაემატა ნადირობა. არსებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო ქაოსის ფონზე ამ სიახლემ სერიოზული პოტენციური რისკი შეუქმნა ქვეყნის ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას. სწრაფად და გაუმჭვირვალედ ჩატარებული საკანონმდებლო ცვლილებებმა, რაც წლების განმავლობაში სატყეო სექტორში მიმდინარე პროცესების მანკიერი პრაქტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა, კიდევ უფრო გაზარდეს გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის რისკი.

საკანონმდებლო წანამძღვრები

1996 წლიდან, როდესაც მიღებული იქნა საქართველოს ძირითადი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა (საქართველოს კანონები „გარემოს დაცვის შესახებ“, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ და ა.შ). ამ კანონმდებლობის თანახმად, ნადირობა შესაძლებელი იყო მხოლოდ სამონადირეო მეურნეობებსა და აღკვეთილების[8] ზოგიერთ ზონაში. მხოლოდ გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა იყო დაშვებული ამ ტერიტორიების გარეთ. გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სანებართვო დოკუმენტებს გასცემდა სახელმწიფო, ხოლო სამონადირეო მეურნეობის ფარგლებში - მისი მფლობელი (კერძო პირი). მიუხედავად იმისა, რომ ნადირობის კანონმდებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და მთავრობის სტრუქტურა რამდენჯერმე შეიცვალა, ეს ძირითადი სქემა 2010 წლამდე უცვლელი რჩებოდა.

2010 წლის ზაფხულში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინიციატივით, პარლამენტმა, სრულიად გაუმჭვირვალედ, განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობაში, მათ შორის ნადირობის საკითხების მარეგულირებელ ნორმატიულ ბაზაში. შედეგად, გარდა ზემოხსენებული შემთხვევებისა, ნადირობა, როგორც ტყითსარგებლობის ერთ-ერთი ფორმა, დაშვებული იქნა მთელ სამეურნეო ტყის ფონდში, ხოლო ნადირობის ნებართვის უფლება მიენიჭა ახლადშექმნილ სატყეო სააგენტოს. ნადირობის კანონმდებლობის ცვლილების იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ რაც შეიძლება მეტი და მრავალფეროვანი შემოსავლის წყარო გასჩენოდა სატყეო სააგენტოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სატყეო სააგენტოს არსებობის განმავლობაში, მან ვერ გასცა ნადირობის ნებართვები, ვინაიდან ვერ მოხერხდა ვერც შესაბამის მარეგულირებელ კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების შეტანა და ვერც სანადირო კვოტების გამოყოფა.

ენერგეტიკის სამინისტროზე ბუნებრივი რესურსების მართვის ფუნქციის გადაცემის შემდეგ, კიდევ უფრო გაძლიერდა სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო ბუნებრივი რესურსების ექსპუატაციით, მათ შორის ნადირობით, მაქსიმალური და სწრაფი ფინანსური სარგებლის მიღებაზე. 2011 წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და ენერგეტიკის სამინისტროების ნაცვლად, შეიქმნა გარემოს დაცვის სამინისტრო და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. ამ უკანასკნელს ყოფილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული გადაეცა, მათ შორის გარემოს დაცვის ინსპექცია, საგამოძიებო დეპარტამენტი და სსიპ სატყეო სააგენტო. მათი რეორგანიზაციის შედეგად (2 თვის ვადაში მოხდა გარემოს დაცვის ინსპექციისა და საგამოძიებო დეპარტამენტი ლიკვიდაცია) ჩამოყალიბდა სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტო. სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოში თავი მოიყარა ბუნებრივი რესურსების მართვასთან (მათ შორის ნადირობასთან) დაკავშირებულმა შემდეგმა ფუნქციებმა: სარგებლობის კვოტებისა და პირობების დადგენა, სალიცენზიო/საიჯარო ობიექტების მომზადება, ლიცენზიების გაყიდვა, ლიცენზიების კონტროლი, უკანონო სარგებლობის აღკვეთა.

2011 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობის წევრები, კერძოდ შინაგან საქმეთა, გარემოს დაცვის და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების ხელმძღვანელები[9] შეხვდნენ საქართველოში მოქმედ ტურისტულ კომპანიებს და გააცნეს მთავრობის გადაწყვეტილება, დაშვებული ყოფილიყო ნადირობა გადაშენების პირას მყოფ, „წითელ ნუსხაში“ შეტანილ იშვიათ სახეობებზე. შინაგან საქმეთა სამინისტროში შემდგარ შეხვედრაზე, მთავრობის წარმომადგენლებმა წინადადება მისცეს ტურისტულ კომპანიებს, დაეწყოთ მონადირე ტურისტების უცხოეთიდან შემოყვანაზე ზრუნვა. მათი განმარტებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები მალევე გატარდებოდა, პარლამენტის საშემოდგომო სესიის დაწყებისთანავე. შეხვედრაზევე ითქვა, რომელ სახეობებზე და რა რაოდენობით გაიცემოდა ნადირობის ლიცენზიები (კერძოდ ჯიხვზე, ირემსა და ნიამორზე 100 ლიცენზია - თითოეულ სახეობაზე)[10].

2011 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა კანონპროექტი “საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე”. კანონპროექტით შემოთავაზებული იყო ახალი რეგულაციები, რომლებიც ნადირობის პროცესის „ლიბერალიზაციის“ გზით, საფრთხის წინაშე აყენებდა საქართველოს ბიომრავალფეროვნებას. მათ შორის განსაკუთრებით პრობლემური იყო რამდენიმე საკითხი:

---

[8] აღკვეთილი არის დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი კატეგორია, რომელიც შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მე-4 კატეგორიას (Managed reserve). ნადირობა წარმოებს აღკვეთილების ტერიტორიებზე შექმნილ კერძო სამონადირეო მეურნეობებში, კერძოდ, დღეის მდგომარეობით - იორის, ყორუღისა და გარდაბნის აღკვეთილების ტერიტორიებზე

[9] ინფორმაცია შეხვედრის შესახებ მოგვაწოდეს მასში მონაწილე ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებმა და დაადასტურეს სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებმა

[10] წყარო: შეხვედრაში მონაწილე ტურისტული კომპანიებისა და სამონადირეო მეურნეობების წარმომადგენელთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია

- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების მოპოვება კომერციული მიზნით;
- ნადირობა დაცულ ტერიტორიებში, მათ შორის ეროვნულ პარკებში;
- იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების საბინადრო გარემოს განადგურების შესაძლებლობის დაკანონება;
- "წითელი ნუსხისა" და სხვა სანადირო სახეობების მოპოვებისათვის ბუნებრივი რესურსის მოსაკრებლის და ამავდროულად, უკანონო მოპოვების შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების გაუქმება;

არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პრინციპული და არგუმენტირებული კომენტარების წარმოდგენისა და აქტიური პროტესტის შემდეგ, კანონპროექტიდან ამოიღეს ზოგიერთი პრობლემური მუხლი. კერძოდ, კანონპროექტიდან ამოღებული იქნა მუხლები, რომლებიც გულისხმობდენ ეროვნულ პარკებში ნადირობის დაშვებას, ასევე გადაშენების პირას მყოფი სახეობების მოპოვებაზე ნულოვანი მოსაკრებლის დაწესებას[11]. საკომიტეტო განხილვისას, სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებმა და კანონპროექტების ავტორმა პარლამენტარებმა - კახა ანჯაფარიძემ და ზვიად კუკავამ - ვერაფერი ვერ დაუპირისპირეს ექსპერტების არგუმენტებს. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ კანონპროექტს უარყოფითი შეფასება მისცეს როგორც გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ისე "საფარი კლუბის ჯორჯიას" დირექტორმა გოჩა კობერიძემ და "საერთაშორისო საფარი კლუბი კავკასიის" პრეზიდენტმა თეიმურაზ ტყემალაძემაც. მთავრობის წარმომადგენლებმა საბოლოოდ განაცხადეს, რომ წარმოდგენილი ცვლილებები „წითელ ნუსხაში" შეტანილ სახეობებზე ნადირობას არ გულისხმობდა[12]. თუმცა საბოლოოდ მეტად ორაზროვანი ჩანაწერი გაკეთდა კანონში „საქართველოს „წითელი ნუსხისა" და „წითელი წიგნის" შესახებ." ამ კანონის 22-ე მუხლი („გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების მოპოვების (ბუნებრივი გარემოდან ამოღების) შემთხვევები") ცვლილებებამდე ასე გამოიყურებოდა: „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება) დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ განსაკუთრებულ შემთხვევებში – მათი გადარჩენის, განკურნების და აღდგენის და სამეცნიერო მიზნებისათვის". ამრიგად, კანონი უშვებდა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების მოპოვების მხოლოდ ოთხ შემთხვევას: მათი გადარჩენის, განკურნების, აღდგენის და სამეცნიერო მიზნებისათვის.

2011 წლის 8 ნოებერს „საქართველოს „წითელი ნუსხისა" და „წითელი წიგნის" შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, 22-ე მუხლი უფრო ვრცელი გახდა. 1-ლი და მე- 2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

I. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების (გარდა ტყვეობაში გამრავლებულისა) მოპოვების (ბუნებრივი გარემოდან ამოღების) დასაშვები ოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

II. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გარდა, დასაშვებია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება) მათი გადარჩენის, განკურნების, პოპულაციის აღდგენისა და სამეცნიერო მიზნებისათვის, რაც ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წერილობითი თანხმობით (აღნიშნული თანხმობა შესაძლებელია შეიცავდეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების მოპოვების (ბუნებრივი გარემოდან ამოღების) გარკვეულ შეზღუდვებს ან/და პირობებს).

ამდენად, კანონის ამ რედაქციაშიც კი, განხილული იყო გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების მოპოვების მხოლოდ იგივე ოთხი შემთხვევა: მათი გადარჩენის, განკურნების, აღდგენის და სამეცნიერო მიზნებისათვის. ამ მუხლის პირველ პუნქტში არ ყოფილა დასახელებული გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების მოპოვების რაიმე სხვა შემთხვევა/ შესაძლებლობა და მხოლოდ განისაზღვრა მოსაპოვებელი ინდივიდების რაოდენობის დადგენაზე პასუხისმგებელი ორგანო -გარემოს დაცვის სამინისტრო.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ 22-ე მუხლში პირდაპირ ყოფილა განსაზღვრული, რომ დაიშვება ნადირობა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეულ ცხოველებზე, საქართველოს მთავრობამ გამოსცა რამდენიმე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი „წითელ ნუსხაში" შეტანილ ცხოველებზე კომერციული ნადირობის დასაშვებად.

---

[11] კანონი ძალაში შევიდა 2011 წლის 8 ნოემბერს (N5201)

[12] საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომის ოქმი N99, 27.10.2011
http://www.parliament.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1148%3A--99&catid=81%3Asittings&Itemid=413&lang=ge

კანონპროექტში მოცემული იყო გარდამავალი დებულება, რომლის თანახმადაც 2012 წლის 1 აგვისტომდე გამოცემული უნდა ყოფილიყო ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება „ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების ჩამონათვალის შესახებ“. თუმცა ბრძანება კანონის დამტკიცებამდე, წინსწრებით, კანონპროექტში განსაზღვულ ვადაზე თითქმის ერთი წლის ადრე გამოსცა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა (01.09.2011; N175). ამ ბრძანებაში, სხვა სახეობებთან ერთად მოხსენიებული იყო „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი რამდენიმე სახეობა (მურა დათვი, ირემი, დასავლეთ კავკასიური ჯიხვი, აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი, ნიამორი, კავკასიური როჭო, კასპიური შურთხი).

2011 წლის 29 დეკემბერს გამოიცა საქართველოს მთავრობის №513 დადგენილება „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. დადგენილების მიხედვით, ნადირობას დაქვემდებარებული ცხოველთა სამყაროს ობიექტებს მიეკუთვნენ „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობები; განისაზღვრა, თანხა, რომელიც უნდა გადაეხადა მონადირეს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს დოკუმენტის მისაღებად (იხ. ქვემოთ).

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 27 დეკემბრის №276 ბრძანებით ,,ნადირობისა და თევზჭერის დაწყებისა და დამთავრების თარიღების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 10 მაისის №30 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სხვა სახეობებთან ერთად დადგენილი იქნა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებზე ნადირობის ვადები.

2012 წლის 10 იანვარს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ „დამტკიცდა 2012 წელს ნადირობის სეზონზე ცხოველთა სამყაროს ზოგიერთი ობიექტის მოპოვების კვოტები: ნუტრია – 194 ცალი, კურდღელი – 615 ცალი, მაჩვი, – 168 ცალი, ტყის კვერნა – 157 ცალი, ქვის კვერნა – 157 ცალი, მგელი – 120 ცალი, ტურა – 1453 ცალი, მელა – 162 ცალი, ტყის კატა – 77 ცალი, გარეული ღორი – 189 ცალი, შველი – 417 ცალი, ენოტი – 96 ცალი, ხოხობი – 416 ცალი, კაკაბი – 713 ცალი, დურაჯი – 50 ცალი“. ეს კვოტები დამტკიცდა სსიპ “ბუნებრივი რესურსების სააგენტოს” უფროსის N13/689 29.12.11 ბრძანებით “2011-2012 წლების ნადირობის სეზონზე ცხოველთა სამყაროს ზოგიერთი ობიექტის მოპოვების კვოტების დამტკიცების შესახებ”[13]. კვოტებთან ერთად არ იყო მითითებული, თუ რომელ რეგიონებში იყო დაშვებული ამ რაოდენობის ცხოველების მოპოვება.

2012 წლის 24 იანვარს გამოიცა საქართველოს მთავრობის N120 განკარგულება „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველების ზოგიერთი სახეობის გარემოდან ამოღების შესახებ[14]“. მასში აღნიშნული იყო, რომ „წითელ ნუსხაში“ შეტანილი „დასავლეთ კავკასიური და დაღესტნული ჯიხვის მოპოვების დასაშვები საერთო ოდენობა 2011-2012 წლის ნადირობის სეზონზე განისაზღვროს ორმოცდაათი ერთეულით. აღნიშნული სახეობების გარემოდან ამოღება განხორციელდეს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 6 აპრილის N07 ბრძანების შესაბამისად“. არ იყო დაკონკრეტებული ამ 50 მოსაკლავი ინდივიდან, რამდენი შეიძლება ყოფილიყო ერთი სახეობის და რამდენი მეორე სახეობის წარმომადგენელი. გაუგებარი იყო, თუ რომელი პოპულაციებიდან (რომელი რეგიონებიდან) უნდა ყოფილყო ამოღებული ეს ინდივიდები.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა 2012 წლის 30 იანვარს გამოსცა ორი ბრძანება: ბრძანება №35 ,,ნადირობისა და თევზჭერის დაწყებისა და დამთავრების თარიღების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 10 მაისის №30 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და ბრძანება №36 „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 6 აპრილის №07 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (სწორედ ეს ბრძანება არის მოხსენიებული მთავრობის 2012 წლის N120 განკარგულებაში - იხ. ზემოთ). აღნიშნული ბრძანებებით გაიზარდა ნადირობის ვადები ჯიხვზე და არჩვზე 6 თვემდე (თავდაპირველი რედაქციით ამ სახეობებზე ნადირობის სეზონი 2,5 თვეს შეადგენდა). ამრიგად, ზოგიერთ საფრთხის წინაშე სახეობის სეზონი ორჯერ და მეტად აღემატებოდა ჩვეულებრივ სანადირო სახეობებზე ნადირობის სეზონს. მათ შორის ადამიანის მიერ შემოყვანილ უცხო სახეობებზე (ენოტი, ენოტისებური ძაღლი, ნუტრია) ნადირობის სეზონს, რომლებიც საერთაშორისო და ეროვნული რეგულაციების მიხედვით, წარმოადგენენ საფრთხეს ქვეყნის ბიოლოგიური მრავალფეროვნებისათვის და რეგულირებას (ბუნებიდან თანდათანობით ამოღება) უნდა ექვემდებარებოდნენ.

---

[13] ამ პერიოდში სსიპ „ბუნებრივი რესურსების სააგენტოს“ უფროსის თანამდებობას ითავსებდა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ა. ხეთაგური.

[14] ეს განკარგულება არ გამოქვეყნებულა. მწვანე ალტერნატივას ჰქონდა რამდენიმე ადმინისტრაციული საჩივარი და სასამართლო დავა გამოუქვეყნებელი მთავრობის განკარგულებების გასაჯაროების მოთხოვნით. მთავრობამ მხოლოდ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მიაწოდა ორგანიზაციას გამოუქვეყნებელი განკარგულებები, მათ შორის 2012 წლის 24 იანვარის საქართველოს მთავრობის N120 განკარგულება „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველების ზოგიერთი სახეობის გარემოდან ამოღების შესახებ

გარდა ზემოხსენებული კანონისა, საქართველოს პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები სხვა კანონებშიც რათა გაეუქმებინა რაც შეიძლება მეტი სამართლებრივი შეზღუდვა ნადირობის საწარმოებლად: საქართველოს კანონი „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (2011 წლის 24 ნოემბერი; №5298-IIს), რომლის მიხედვითაც თუშეთის დაცულ ლანდშაფტში, ილტოს და ლაგოდეხის აღკვეთილებში დაშვებული იქნა თევზჭერა, ნადირობა და სამონადირეო მეურნეობის მოწყობა; საქართველოს კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (2011 წლის 24 ნოემბერი; №5299-IIს) რომლის თანახმადაც, ქობულეთის აღკვეთილში დაშვებული იქნა თევზჭერა, ნადირობა და სამონადირეო მეურნეობის მოწყობა[15]

ნადირობის ახალი სისტემა და მასთან დაკავშირებული საფრთხეები

ამრიგად, ზემოხსენებული ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა ნადირობის შემდეგი სისტემა: გადამფრენ ფრინველებზე ნადირობისათვის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით განისაზღვრებოდა ნადირობის დაწყებისა და დამთავრების თარიღები - სახეობების მიხედვით, ასევე ერთი დღის განმავლობაში დაშვებული მოსაპოვებელი ინდივიდების მაქსიმალური რაოდენობა. ნადირობის მსურველს ბანკში უნდა გადაეხადა გადამფენ ფრინველებზე ნადირობის მოსაკრებელი, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში ნადირობისთვის შეადგენდა 10 ლარს. სანადირო მეურნეობებში ერთჯერად ლიცენზიებს მონადირეებზე გასცემდნენ სანადირო მეურნეობის მფლობელები, სამინისტროს მიერ მათთვის დამტკიცებული წლიური კვოტის ფარგლებში.

გარდა ამ შესაძლებლობებისა, ნადირობის მსურველს შეეძლო განცხადებით მიემართა ბუნებრივი რესურსების სააგენტოსათვის. ნადირობის დოკუმენტის გაცემის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ნადირობის დოკუმენტი გაცემა უნდა მომხდარიყო სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. ამის შემდეგ ნადირობის მსურველს 7 სამუშაო დღის განმავლობაში უნდა წარედგინა სააგენტოში მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ ვადაში მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის შემთხვევაში, სააგენტოს უფროსს შეეძლო ნადირობის დოკუმენტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

ცხრილი: ნადირობის დოკუმენტის გაცემის საფასური[16]

ნადირობას დაქვემდებარებული ცხოველთა სამყაროს ობიექტის (გარდა გადამფრენი ფრინველისა) მოპოვების დოკუმენტის გაცემისათვის სახეობის ერთ ინდივიდზე:	მომსახურების საფასური (დღგ-ის ჩათვლით) ლარობით
ნიამორი	500 ლარი
ჯიხვი, კეთილშობილი ირემი, მურა დათვი	300 ლარი
შველი, გარეული ღორი	200 ლარი
კავკასიური როჭო, კასპიური შურთხი	100 ლარი
დურაჯი	50 ლარი
მგელი, მელა, ტყის კვერნა, ქვის კვერნა, მაჩვი, ნუტრია, ენოტი, ხოხობი, კაკაბი, გნოლი	30 ლარი
ტურა, ტყის კატა, კურდღელი, ენოტისებური ძაღლი	20 ლარი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების მოპოვების კვოტების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო.

ნადირობის ახალი სისტემა საფრთხეს უქმნიდა ცხოველთა სამყაროს არაერთ სახეობას, მათ შორის „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებს, ხოლო არსებულ კერძო სანადირო მეურნეობებს ფინანსურად საკმაოდ მძიმე პირობებში აყენებდა. აღნიშნულს განაპირობებდა შემდეგი ფაქტორები: ფაუნის სახეობების, მათ შორის „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების, პოპულაციების მდგომარეობის შესახებ რეალური ინფორმაციის არარსებობის პირობებში, სანადირო კვოტების დადგენა გადაჭარბებული, არამდგრადი ექსპლუატაცის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო. წლების მანძილზე არცერთ სახელმწიფო თუ სამეცნიერო უწყებას ცხოველთა სახეობების არანაირი აღრიცხვა არ ჩაუტარებია, თუ არ ჩავთვლით ეპიზოდურ კვლევებს ზოგიერთი დაცული ტერიტორიის და/ან კერძო სამონადირეო მეურნეობის ფარგლებში.

[15] მაჭარაშვილი ი., 2012. ტყის მართვა საქართველოში: პრობლემები და გამოწვევები, თბილისი, მწვანე ალტერნატივა, 58 გვ.

[16] საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერის №513 დადგენილების „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მიხედვით

ახალი საკანონმდებლო/ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში სრულიად დაურეგულირებელი იყო ნადირობის პროცესის მონიტორინგისა ბრაკონიერობასთან ბრძოლის საკითხები. საერთოდ არ არსებობდა ბუნებაში ის სახელმწიფო უწყება, რომელიც ამ ფუნქციებს შეასრულებდა. ხელისუფლების წარმომადგენლები, ნადირობის ახალი სისტემის გასამართლებლად, იშველიებდნენ არგუმენტს, რომ ახალი კანონმდებლობით განისაზღვრა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების მოპოვების გარკვეული პირობები და აკრძალვები: „აკრძალულია ნადირობა ერთ წლამდე დათვის ბელზე, ასევე დათვის მდედრ ინდივიდზე, რომელსაც ჰყავს ერთ წლამდე ბელი; კეთილშობილი ირმის, ჯიხვის, როჭოსა და შურთხის მდედრ ინდივიდებზე; ჯიხვის მამრ ინდივიდზე, რომლის რქის სიგრძეც (მრუდზე) 100 სმ-ზე ნაკლებია; ირმის მამრ ინდივიდზე, რომლის რქებიც არ არის დატოტვილი ან/და დატოტვილია და მთავარი ღერძის სიგრძე 90 სმ-ზე ნაკლებია და ა.შ“[17]. თუმცა, ბრაკონიერობასთან ბრძოლის, ნადირობის პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმების არარსებობის პირობებში ეს შეზღუდვები ფორმალური ხასიათის იყო. არ არსებობდა არანაირი მონაცემი „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების რაოდენობასა და პოპულაციის სტრუქტურაზე. საკითხის დაზუსტების მიზნით, მწვანე ალტერნატივამ განცხადებით მიმართა როგორც გარემოს დაცვის, ისე ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, თუმცა პასუხებიდან გამოჩნდა, რომ სამინისტროები არანაირ ინფორმაციას არ ფლობდნენ ამ საკითხზე.

ნადირობის პროცესის მონიტორინგისა და კანონის აღსრულების მექანიზმების არარსებობის პირობებში, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო იმის დადგენა, რამდენად კანონიერად მოიპოვებდა მონადირე ცხოველს ნადირობის ნებართვის მიღების შემდეგ (მოიპოვებდა თუ არა ზუსტად ნებართვაში მითითებულ რაოდენობას? დაიცავდა თუ არა კანონმდებლობით დადგენილ წესებს მოსაპოვებელი ცხოველის სქესის, ასაკის, რქის ზომის და ა.შ. დაკავშირებით? ვინ შეამოწმებდა და როგორ ამას?). როგორც შესაბამის სამინისტროებთან მიმოწერის, ისე პირადი თუ საჯარო შეხვედრების დროს აშკარად გამოჩნდა, რომ სახელმწიფო სტრუქტურები არათუ არ იყვნენ მზად ასეთი საკანონმდებლო ცვლილებებისათვის, არამედ ვერც აცნობიერებდნენ, რა საჭიროებების და გამოწვევების წინაშე დგებოდნენ, როდესაც აკანონდებდნენ ნადირობას მთელი საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ნაკრძალებისა და ეროვნული პარკებისა, რაც მთელი ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 4-5%-ს არ აღემატება).[18]

რა განსხვავება იქნებოდა წინა სისტემასთან შედარებით, როდესაც ნადირობა მხოლოდ სამონადირეო მეურნეობაში იყო შესაძლებელი? სამონადირეო მეურნეობას გააჩნია მთელი რიგი თავისებურებები, რაც ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას და მდგრად გამოყენებას:

- სამონადირეო მეურნეობაში ნადირობისას, მონადირეს აუცილებლად თან მიყვება მეურნეობის თანამშრომელი, რომელიც თვალს ადევნებს, რომ არ დაირღვეს სალიცენზიო პირობები და ნადირობის წესები: მონადირემ არ მოკლას ლიცენზიით განსაზღვრულზე მეტი ოდენობით ცხოველი, არ მოიპოვოს ის სახეობები, რომელიც არ არიან განსაზღვრული ლიცენზიით და ა.შ.
- კანონმდებლობის თანახმად[19], სამონადირეო მეურნეობა დაყოფილი უნდა იყოს ზონებად, სადაც გამიჯნულია: სანადირო უბანი, აღკვეთილი, აღწარმოების უბანი და ნადირ-ფრინველის საშენი. ამრიგად, ნადირობა მხოლოდ სამონადირეო მეურნეობის გარკვეულ ნაწილში შეიძლება, ხოლო ცხოველთათვის მნიშვნელოვანი ადგილები (გამრავლების, დასვენების, წყლის დასალევი და ა.შ.) იდენტიფიცირებული და დაცულია ნადირობისა და სხვა სახის შეწუხებისაგან.
- მონადირის მიერ გადახდილი ნადირობის საფასურის ნაწილი ხმარდება სხვადასხვა კონსერვაციული ღონისძიებების განხორციელებას: სანადირო სახეობის აღწარმოება, დაცვა, ბიოტექნიკური ღონისძიებები, ჰაბიტატების აღდგენა და ა.შ.

---

[17] დადგენილია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 27 დეკემბრის №275 ბრძანებით „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 6 აპრილის №07 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“,

[18] მაგალითად, 2012 წლის 24 აპრილს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის კავკასიის წარმომადგენლობის (IUCN Caucasus Cooperation Center) ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა, სადაც IUCN-ის სახეობათა გადარჩენის (IUCN SSC) ექსპერტმა, დოქტორმა დავიდ მელონმა (Dr. David Mallon) წარმოადგინა ინფორმაცია IUCN-ის რეგულაციების შესახებ მდგრად ნადირობასთან დაკავშირებით და შეაფასა საქართველოს ახალი ნადირობის კანონმდებლობა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი რეგულაციების გამო არსებობდა რისკი ბიომრავალფეროვნების ღირებულების დაკარგვისა, ისევე როგორც სახეობების ეკონომიკური ღირებულების დაკარგვისა. შეხვედრამ ნათლად გამოაჩინა, რომ ბუნებრივი რესურსების სააგენტო არანაირად არ იყო მზად ნადირობის პროცესის სამართავად. კითხვაზე, თუ როგორ უზრუნველყოფდნენ, რომ ნადირობის პროცესის მონიტორინგს, მათ უპასუხეს, რომ გამოშუვებდნენ ელექტრონულ ჩიპებს, რომლებიც ნანადირევს დაუმაგრდებოდა. თუმცა ვერ ახსნეს, როგორ აღრიცხავდნენ იმ ნანადირევს, რომლის დეკლარირებასაც არ მოინდომებდა მონადირე. მაგალითად, როგორ დაფიქსირდებოდა ბრაკონიერობის ფაქტი, თუ აიღებდა ლიცენზიას 1 ჯიხვის მოპოვებაზე, ხოლო მონადირებდა სამს და მათგან მხოლოდ ერთს დაამაგრებდა ჩიპს?

[19] საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2012 წლის 12 ივნისის №192 ბრძანება “სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ”.

ახალი წესების მიხედვით, ნებისმიერ კერძო პირს თუ ტურისტულ კომპანიას შეეძლო მთლიანად შეესყიდა სახელმწიფოსგან ნადირობის კვოტები და გაეყიდა უფრო ძვირად, გარკვეული მომსახურებისა და ფასის დამატებით, ნებისმიერ უცხოელ თუ ადგილობრივ მონადირეზე. თეორიულად, ნადირობის ნებართვის ყიდვა ასევე უშუალოდ მონადირესაც შეეძლო, შუამავლის გარეშე. ვინაიდან ნადირობის კვოტების განაწილების რაიმე შეზღუდვა ან მექანიზმი არ არსებობდა, ნადირობის ნებართვის გაყიდვის უფლებას ნებისმიერი კერძო თუ იურიდიული პირი მოიპოვებდა, ვინც სხვას დაასწრებდა განაცხადის შეტანას ბუნებრივი რესურსების სააგენტოში. მიუხედავად იმისა, ვინ შეისყიდიდა ბუნებრივი რესურსების სააგენტოსგან ნადირობის უფლებას - ტურისტული კომპანია თუ უშუალოდ მონადირე, ბიომრავალფეროვნის საფრთხე მაინც იქნებოდა - არანაირი გარანტია არ იარსებებდა, რომ ნადირობის ნებართვის მფლობელი მოიპოვებდა იმ სახეობებს და იმ რაოდენობით, რომლებიც განსაზღვრული იყო ნებართვით; მონადირის მიერ გადახდილი თანხა ვერ მოხმარდებოდა კონსერვაციულ ღონისძიებებს (აღწარმოება, დაცვა და ა.შ.), ვინაიდან სახელმწიფო ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის (სადაც მოინადირებდა) ბიუჯეტში მოხვდებოდა; ცხოველთა გადარჩენისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ჰაბიბატები აღარ იქნებოდა დაცული ნადირობის პრესისაგან. ახალი კანონმდებლობის შედეგად ზარალდებოდნენ მეწარმეები, რომლებსაც სერიოზული ინვესტიციები ქონდათ დაბანდებული სამონადირეო მეურნეობების განვითარებაში (სამონადირეო მეურნეობის მფლობელები). ფაქტიურად, ისინი ხვდებოდნენ არასამართლიანი კონკურენციის პირობებში ტურისტულ კომპანიებთან, ვისაც 2011 წლის შემოდგომამდე არანაირი ინვესტიცია არ ქონდათ განხორციელებული სანადირო ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

გარემოსდაცვითი ორგანიზაციები ახალი კანონმდებლობის წინააღმდეგ

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას ნადირობასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციების შემოღების თაობაზე, მკვეთრად უარყოფითი შეფასებები მოჰყვა, როგორც გარემოსდაცვითი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ისე სამეცნიერო დაწესებულებებისა და მონადირეების მხრიდანაც.

სახეობათა კონსერვაციის ცენტრ „ნაკრესის“ თვალსაზრისით, ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ დადგენილი კვოტები მოკლებული იუო ყოველგვარ სამეცნიერო საფუძველს, რადგან საქართველოში არ ჩატარებულა ამ სახეობების აღრიცხვები და, შესაბამისად, უცნობი იყო მათი რიცხოვნობა; სრულიად გაუგებარი იყო, როგორ და რა მეთოდით იქნა გამოთვლილი უცნაური სიზუსტის რაოდენობები (მაგ., გარეული ღორი – 189 ცალი); „რთულია რაიმე ლოგიკის დანახვა ამ რიცხვებში“ - აღნიშნული იყო განცხადებაში, „მაგ., ტურაზე დადგენილია მოპოვების ძლიერ მაღალი კვოტა (1453), ენოტზე კი, რომელიც ჩვენი ფაუნის უცხო სახეობას წარმოადგენს - მხოლოდ 96. არასწორად დადგენილი კვოტა ველური ბუნებისთვის ისევე საზიანოა, როგორც - არალეგალური ნადირობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა სანადირო კვოტები არ არის გადანაწილებული რეგიონების მიხედვით. თუმცა მთავრობამ ახლახან მიიღო გადაწყვეტილება, ნადირობა დაუშვას „წითელი ნუსხის“ (ანუ იშვიათ და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ) სახეობებზეც და თუ სანადირო კვოტები ამ შემთხვევაშიც ანალოგიური მიდგომით განისაზღვრება, შედეგი უკვე კატასტროფული იქნება - გარკვეულ სახეობებს სამუდამოდ დავკარგავთ“[20]. მწვანე ალტერნატივამ იმთავითვე მიიჩნია, სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ დამტკიცებული სანადირო კვოტები ემყარებოდა ყალბ მონაცემებს, ვინაიდან: სანადირო ცხოველთა სახეობების არანაირი აღრიცხვა არ ყოფილა ჩატარებული ქვეყანაში; სანადირო კვოტა დამტკიცდა მოსაპოვებელი ინდივიდების კონკრეტულ სანადირო სავარგულებზე გადანაწილების გარეშე (მაგალითად, რას ნიშნავს კვოტა „შველი - 417“? როგორ უნდა გადანაწილდეს ეს 417 მოსანადირებელი ინდივიდი მთელ საქართველოზე?). მწვანე ალტერნატივამ თავის განცხადებაში ასევე გამოთქვა ვარაუდი, რომ ამგვარი ტიპის, გაუმჭვირვალედ მიღებული რეგულაციები, გარდა ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი საფრთხისა, ასევე ელიტური კორუფციის შესაძლებლობებსაც ბადებდა.

დამტკიცებული კვოტების სიყალბე დაამტკიცა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წერილობითმა პასუხმა მწვანე ალტერნატივას განცხადებაზე. 2012 წლის 16 იანვარს გაგზავნილი წერილით მწვანე ალტერნატივა ითხოვდა საჯარო ინფორმაციას, რათა დაედგინა, რა მონაცემებს ეყრდნობოდა ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ დამტკიცებული კვოტები და რამდენად რეალისტური იქნებოდა ახლადდამტკიცებული რეგულაციების მოთხოვნების დაცვა მათ საფუძველზე. კერძოდ, მწვანე ალტერნატივა სამინისტროსგან ითხოვდა ინფორმაციას, თუ რა მეთოდით, როდის (რა პერიოდში), რომელ ტერიტორიებზე ჩატარდა სანადირო სახეობების პოპულაციების კვლევა და რომელი სამეცნიერო ორგანიზაცია/ ექსპერტები მონაწილეობდნენ ამ კვლევაში, ასევე რა თანხები იყო გამოყოფილი სამინისტროს მიერ

[20] „ნაკრესის" პოზიცია ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ნადირობის კვოტების შესახებ http://nacres.org/g_position_hunting.html

ამ აღრიცხვების განსახორციელებლად. ასევე, ითხოვდა იმ ფაქტობრივ ინფორმაციასაც, რომლებსაც წესით უნდა დაყრდნობოდა დამტკიცებული კვოტები (მაგ: ნადირობისათვის დაშვებულ ტერიტორიებზე მობინადრე რქებდატოტვილი შველის მამრი ინდივიდების რაოდენობა, მამალი ხოხბებისა და დურაჯების საერთო რაოდენობა და მათი განაწილება სანადირო სავარგულების მიხედვით). ამ განცხადებაზე, კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას უპასუხა, რომ წერილში დასმულ საკითხებზე „გრძელდებოდა ინტენსიური მუშაობა ექსპერტების მონაწილეობით“. მწვანე ალტერნატივამ ასევე მიმართა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით გარემოს დაცვის სამინისტროს და მოთხოვა ანალოგიური ინფორმაცია „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე. 1 თებერვალს სამინისტრომ გვიპასუხა, რომ სამწუხაროდ სამინისტროს არ გააჩნდა მოთხოვნილი ინფორმაცია, მაგრამ უახლოეს ხანებში გეგმავდა შერჩეული სახეობების აღრიცხვების ჩატარებას[21].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაინტერესებული საზოგადოებისთვის იმ ხანებში არ გახდა ცნობილი ის ფაქტი, რომ მთავრობამ განკარგულებით დაამტკიცა საფრთხის წინაშე მყოფი ენდემური სახეობების - აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიური ჯიხვების სანადირო კვოტები, ვინაიდან ეს განკარგულება არ გამოქვეყნებულა. შესაბამისად, ამ სამართლებრივი აქტის გამოცემასთან ან დაკავშირებით საზოგადოების მხრიდან განცხადებები არ გაკეთებულა.

მწვანე ალტერნატივამ სასამართლოში გაასაჩივრა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრისა და მთავრობის ზემოხსენებული ნორმატიული აქტები. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე მხარემ ვერანაირი ლოგიკური არგუმენტები ვერ წარმოადგინა, სასამართლოს მწვანე ალტერნატივას არც ერთი სარჩელი არ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა ეს სამართლებრივი აქტები.

სასამართლოზე მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საქმის წარმოების მასალების განხილვისას ნათელი გახდა, რომ გასაჩივრებული აქტების მომზადებისა და გამოცემისას დაირღვა ორჰუსის კონვენციის (კონვენცია “გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში, მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ”) მე–8 მუხლით დადგენილი წესი. აქტები გამოიცა გაუმჭვირვალედ, საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, რაც ასევე წარმოადგენს მათი ბათილობის საფუძველს. საპასუხოდ, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენელმა სასამართლოზე განაცხადა, რომ აქტების გამოცემამდე გაიმართა კონსულტაციები გარკვეულ ექსპერტებთან და სწორედ მათი რეკომენდაციით მოხდა ნადირობის ვადების ცვლილება. თუმცა, სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, კონსულტაციებს აწარმოებდნენ სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები და სხვა დეტალები პირადად მისთვის უცნობი იყო. ასევე არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლოზე ასეთი კონსულტაციების ამსახველი დოკუმენტაცია. სამწუხაროდ, სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ ამ გარემოებების გამოკვლევა[22].

ამ აშკარა კანონდარღვევებზე არ მოჰყოლია რეაქცია ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მხრიდან არც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლების ცვლილების შემდეგ პერიოდი (იხ. ქვემოთ).

[21] როგორც მოგვიანებით გაირკვა, 2012 წლის 8 თებერვალს ამ ორმა უწყებამ გამოსცა ერთობლივი ბრძანება სანადირო სახეობების რაოდენობების განსაზღვრის მიზნით სამეცნიერო შესწავლის განხორციელების თაობაზე.

[22] აღნიშნულის შესახებ დოკუმენტური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია სასამართლოს შესაბამის ოქმებში

საქართველო მონადირეთა 2012 წლის საერთაშორისო ფორუმზე

სანადირო ტურიზმი საკმაოდ პოპულარული გართობის სახეობაა და ამავდროულად, ძვირადღირებული ბიზნესია. „საერთაშორისო საფარი კლუბი“ (Safari Club International - SCI) ნადირობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ორგანიზაციაა მსოფლიოში. „საერთაშორისო საფარი კლუბი“ შეიქმნა 1972 წელს აშშ-ში მოქმედი სხვადასხვა საფარი კლუბების გაერთიანების შედეგად. ის აერთიანებს 55 000-ზე მეტ წევრსა და 190-ზე მეტ ფილიალს. მისი მთავარი ოფისი მდებარეობს აშშ-ში, არიზონას შტატის ქალაქ ტუქსონში. მათ ვებ-გვერდზე მოცემული ინფორმაციის თანახმად, „საერთაშორისო საფარი კლუბი“ არის ლიდერი ორგანიზაცია, რომელიც იცავს ნადირობის თავისუფლებას და ხელს უწყობს მსოფლიოს მასშტაბით ბუნების კონსერვაციას“. „საერთაშორისო საფარი კლუბის“ ერთ-ერთი განყოფილებაა „საერთაშორისო საფარი კლუბის ფონდი,“ (Safari Club International Foundation) რომელიც სხვა საქმიანობასთან ერთად ავითარებს პროგრამებს, რომელიც მიმართულია ბუნების კონსერვაციაზე, განათლებაზე, ჰუმანიტარულ დახმარებებზე და სხვა.

„საერთაშორისო საფარი კლუბის“ ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება საერთაშოორისო ფორუმი ე.წ. SCI Convention. ეს არის ღონისძიება, რომელშიც ათეულ ათასობით მონაწილეს მასპინძლობს[23]. სხვადასხვა ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ მსოფლიოს მონადირეებს წარუდგინონ საკუთარი პროდუქტი - სანადირო იარაღი და აღჭურვილობა, სანადირო მეურნეობები, სამონადირეო-ტურისტული ტურები და ა.შ.

2011 წლის 3 ოქტომბერს გარემოს დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, საერთაშორისო ორგანიზაცია “საფარი კლუბის” (SCI) პრეზიდენტი კევინ ანდერსონი და გარემოს დაცვის მინისტრს გოგა ხაჩიძეს შეხვდა. როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდი იუწყებოდა[24], „შეხვედრაზე სამონადირეო ტურიზმის მდგრადი განვითარების როლის შესახებ იმსჯელეს“. სამუშაო შეხვედრას ევროპაში რეგიონალური წარმომადგენელი ნორბერტ ულმანიც დაესწრო. შეხვედრას ესწრებოდნენ (ორგანიზება გაუკეთეს, რაც დაანონსებული იყო მათ ვებ-გვერდზე 2011 წლის 29 სექტემბერს) „საფარი კლუბი ჯორჯიას“ ხელმძღვანელები: გოჩა კობერიძე (აღმასრულებელი დირექტორი) და თეიმურაზ ტყემალაძე (გამგეობის თავმჯდომარე). სამინისტროს ვებ-გვერდზე მოცემული ინფორმაციის თანახმად, „საფარი კლუბის” (SCI) ხელმძღვანელობამ აგვისტოს აშშ-ს ქალაქ ტუქსონში გამგეობის სხდომაზე დაამტკიცა “საერთაშორისო საფარი კლუბის კავკასიის წარმომადგენლობა”. საქართველო კლუბთან 2009 წლიდან თანამშრომლობს“. იქვე აღნიშნული იყო, რომ, „საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, „საერთაშორისო საფარი კლუბის” გადაწყვეტილებით, მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი პირების გვერდით, როგორებიც არიან ჯორჯ ბუში უფროსი და ჯორჯ ბუში უმცროსი, მიენიჭა საპატიო წევრის წოდება[25]“. ამავე შინაარსის ინფორმაცია არის გამოქვეყნებული „საერთაშორისო საფარი კლუბი კავკასიას“ (ყოფილი„საფარი კლუბი ჯორჯიას“) ვებ-გვერდზე.

2011 წლის 14 დეკემბერს „საერთაშორისო საფარი კლუბი საქართველოს“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება, რომლის თანახმადაც, 2012 წლის 1-4 თებერვალს საქართველო პირველად მიიღებდა მონაწილეობას ლას-ვეგასის კონვენციაში. საქართველოს წარმოადგენდა „საერთაშორისო საფარი კლუბი საქართველო, კავკასიის წარმომადგენლობა“ და საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო, რომლებიც გამოიყენებენდნენ ამ ფორუმს, რათა მსოფლიოს გაეცნო საქართველოს სამონადირეო ტურიზმის შესაძლებლობები[26].

2012 წლის 8 თებერვალს საქართველოს საინფორმაციო საშუალებებიდან ცნობილი გახდა, რომ ლას ვეგასში გამართულ მონადირეთა ფორუმში, საქართველოს სახელით, ტურიზმის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, მონაწილეობა მიიღო არა ზემოხსენებულმა „საერთაშორისო საფარი კლუბი კავკასიამ[27]“ (www.scicaucasus.com) არამედ სხვა კომპანიამ - „Caucasian Safari” (www.caucasiansafari.com). ტურიზმის სააგენტოს ხელმძღვანელის, ქალბატონი მაია სიდამონიძის განცხადებით, „სამონადირეო ტურიზმი აბსოლუტურად ახალი მიმართულება იყო საქართველოსთვის, მის განსავითარებლად შეიქმნა ძალიან მოქნილი კანონმდებლობა, რაც სამონადირეო ტურიზმის პოპულარიზაციისა და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის საშუალებას

---

[23] 2013 წლის კონვენციამ 18 000 მონაწილეს უმასპინძლა http://www.showsci.org/content/index.cfm?content_id=104

[24] http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=40&info_id=1601

[25] სამინისტროს ვებ-გვერდზე მოცემული ინფორმაცია არ არის დაზუსტებული. მაგალითად, ვებ-ბმული ეკუთვნის არა საერთაშორისო ორგანიზაცია "საფარი კლუბს" (SCI), არამედ „საერთაშორისო საფარი კლუბის ფონდს“. საფარი კლუბის პრეზიდენტი არის არა „კევინ ანდერსონი“, როგორც სამინისტროს ვებ-გვერდზეა, არამედ კრეგ კაუფმანი. „საერთაშორისო საფარი კლუბის ფონდის“ ერთ-ერთი დირექტორი არის დენის ანდერსონი.

[26] http://www.scicaucasus.com/ka/blog/las-vegas-convention/

[27] ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეექმნათ პრობლემები აშშ-ს ვიზის მიღებასთან დაკავშირებით

იძლეოდა. სიუჟეტში კომენტარი გააკეთა ბატონმა საბა კიკნაძემაც, რომელიც მოხსენიებული იყო, როგორც „საქართველოს სტუმარმასპინძლობის ჯგუფის ხელმძღვანელი[28].

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდიც ადასტურებს, რომ 2012 წლის განმავლობაში, სხვა ღონისძიებებთან ერთად ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ორგანიზება გაუწია საქართველოს წარდგენას ლას-ვეგასში გამართულ სამონადირეო ფორუმზე.[29]

„Safari"-ის საფარქვეშ

მსოფლიოს მონადირეთა შორის სახელი „საფარი" ძალზე ცნობადი და „კარგად გაყიდვადია", ხოლო საქართველოში ამ სახელთან ორი ორგანიზაცია აღმოჩნდა დაკავშირებული. ერთმა მათგანმა წინასწარ დაანონსა, რომ საერთაშორისო საფარი კლუბის ყოველწლიურ ფორუმში მიიღებდა მონაწილეობას საქართველოს სახელით, ტურიზმის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად. თუმცა აღმოჩნდა, რომ საქართველო სხვა „საფარიმ" წარმოადგინა. ქვემოთ წარმოგიდგენთ, თუ ვინ არიან საქართველოში Safari-ის სახელთან დაკავშირებული ორგანიზაციები.

„საერთაშორისო საფარი კლუბი კავკასია", Safari Club International Causasus – SCI Causasus. „საფარი კლუბი ჯორჯია" არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ან უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობა) სახით დარეგისტრირდა 2008 წლის 10 ივლისს. მისი დამფუძნებლები იყვნენ შპს „საფარი" (ყოფ. გემი) და შპს „ჯორჯიან თრეველ ბიურო". მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის მონაცემებით, მისი საქმიანობის საგანს წარმოადგენდა „საქართველოში სანადირო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება შედგა 2008 წლის 26 ივნისს. კრებამ 5 წლის ვადით აირჩია 7 წევრისგან შემდგარი გამგეობა: გოჩა კობერიძე (აღმასრულებელი დირექტორი), თეიმურაზ ტყემალაძე (გამგეობის თავმჯდომარე), გიორგი თოფაძე, ირაკლი ბაბუხადია, გიორგი კარტოზია, სიმონ გუნცაძე, გივი საბაშვილი.

2011 წლის 22 დეკემბერს „საფარი კლუბი ჯორჯიას" სარეგისტრაციო მოწმობაში შევიდა ცვლილებები. 19 დეკემბერს შემდგარი ორგანიზაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით, „საფარი კლუბი ჯორჯიას" შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „საერთაშორისო საფარი კლუბი კავკასია", ინგლისურად: Safari Club International Causasus – SCI Causasus. ასევე შეიცვალა ორგანიზაციის წესდება და გამგეობის წევრთა შემადგენლობა: თეიმურაზ ტყემალაძე (პრეზიდენტი), გოჩა კობერიძე, არჩილ ტყემალაძე, ამირან ბურჭულაძე, გიორგი კარტოზია.

ეს ორგანიზაცია ასევე ფლობს სამონადირეო მეურნეობას ლაგოდეხის რაიონში ჭიაურის ტერიტორიაზე. რაც შეეხება ნადირობის ახალ კანონმდებლობას, ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა არაერთხელ დააფიქსიერეს საკუთარი უარყოფითი პოზიცია როგორც მედიის საშუალებით, ისე სხვადასხვა უწყებებში გამართულ ოფიციალურ შეხვედრებზე.

„Caucasian Safari" საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, შპს „Caucasian Safari" დარეგისტრირდა 2012 წლის 11 იანვარს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც 2012 წლის 9 იანვარს შპს „შპს ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპ"-ს სახელით, როგორც შპს „Caucasus Tur"-ის 100% წილის მესაკუთრემ, საჯარო რეესტრს განცხადებით მიმართა საბა კიკნაძემ და მოითხოვა, რომ შპს „Caucasus Tur" -ის სახელწოდება შეცვლილიყო შპს „Caucasian Safari". თავის მხრივ, შპს „Caucasus Tur" დარეგისტრირდა 2011 წლის 20 სექტემბერს, როგორც შპს „ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპის" შვილობილი კომპანია.

„კავკაზუს ტრაველი"-დან „Caucasian Safari"-მდე. საბა კიკნაძემ თავის პარტნიოტებთან ერთად ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩამოაყალიბა ტურისტული კომპანია „კავკაზუს ტრაველი"[30], რომელიც საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და ცნობილი კომპანიაა ტურისტულ ბიზნესში. ის თავიდანვე სპეციალიზებული იყო სათავგადასავლო ტურიზმით, მთამსველობით, თხილამურებით, ეკოტურიზმის სხვადასხვა სახეობით გატაცებული ტურისტების უცხოეთიდან შემოყვანაზე. 1996 წლის 4 მარტს მთაწმინდის რ-ნის სასამართლომ დაარეგისტრირა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კავკაზუს ტრაველი".

---

[28] https://www.facebook.com/photo.php?v=706150312719&set=vb.153105401406117&type=3&theater

[29] http://www.economy.ge/ge/projects/tourism&type=print

[30] მათ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, 1991 წელს

2007 წელს საბა კიკნაძემ, დათუნა რაქვიაშვილმა და ნიკოლოზ ერქომაიშვილიმა ჩამოაყალიბეს შპს „ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპ“, რომლის ქოლგის ქვეშ გაერთიანდა მათ მიერვე - 1996 წლიდან ჩამოყალიბებული სხვადასხვა კომპანია.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის მონაცემებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპ“ (ს/კ 204544699) რეგისტრირებულია 10/12/2007 წელს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ იურიდიულ მისამართზე – საქართველო, ქ. თბილისი, ლესია უკრაინკას ქ. N3, ბ.4 როგორც 2007 წლის 28 ნოემბრის პარტნიორთა კრების ოქმშია აღნიშნული, საბა კიკნაძე ესაუბრა შპს „კაუკაზუს ტრეველის“ ხელმძღვანელობას[31] და დაითანახმა „ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპისთვის“ ფართის გამოყოფაზე. საზოგადოების სახელმწიფო რეგისტრაციის დროისათვის (10.12.2007) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპ“–ის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 10000 (ათიათასი) ლარის ოდენობით (ფულადი შენატანით), საზოგადოების პარტნიორები გახდნენ: საბა კიკნაძე– 45%, დათუნა რაქვიაშვილი– 45% , ნიკოლოზ ერქომაიშვილი – 10%. დირექტორად დაინიშნა საბა კიკნაძე[32]. 2008 წლის 8 მაისის მდგომარეობით, საბა კიკნაძემ მისი კუთვნილი 45%-დან 5% მიყიდა ბრიტანეთის მოქალაქე მაიკლ ჰუდრეტს, ხოლო დათუნა რაქვიაშვილიმა მისი კუთვნილი 45%-დან 5% მიყიდა ასევე ბრიტანეთის მოქალაქე ჰენრი მიკენს. 2011 წლის იანვარში დათუნა რაქვიაშვილმა თავისი წილი - 40% გაასხვისა მეუღლეზე - სოფიო მამარდაშვილზე. ამდენად, შპს „ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპ“–ში პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა გამოისახა შემდეგნაირად: საბა კიკნაძე – 40%; სოფიო მამარდაშვილი– 40%; ნიკოლოზ ერქომაიშვილი– 10%; ჰენრი მიკენი პასპორტის ნომერი 203292033 – 5%; მაიკლ ჰუდრეტის პასპორტის ნომერი –5%.

აღსანიშნავია, რომ „ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპ“–ში გაერთიანებული სხვა ორგანიზაციების პარტნიორებსა და ხელმძღვანელობაშიც იგივე პიროვნებები ფიგურირებენ, მხოლოდ წლების განმავლობაში იცვლებოდა მათი წილობრივი მონაწილეობა და თანამდებობები.

შპს კავკაზუს ტრაველი ტურისტების შემოყვანაზე ორიენტირებული ტურ ოპერატორია, რომელიც სპეციალიზებულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (აზერბაიჯანი, საქართველოს, სომხეთი) კულტურულ და სათავგადასავლო ტურების ორგანიზება (ფოტო და კინო გადაღება, ეკოტურიზმი, სამეცნიერო ექსპედიციები, ახალგაზრდული ბანაკები, აგროტურიზმი, ღვინის ტურები, ბიზნეს-მოგზაურობა და ა.შ.). შპს „კავკაზუს ტრაველის“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან საბა კიკნაძე (დირექტორი), ნიკოლოზ ერქომაიშვილი (დირექტორი), მაია კიკნაძე (დირექტორი)[33]. პარტნიორები არიან: ჰენრი მიკენი, 2.5%, შპს ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპ, 95.%, მაიკლ ჰუდრეტი, 2.5%[34] .

შპს “ჯორჯიან ივენტს” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 19/04/2006) - არის ღონისძიებების მენეჯმენტის კომპანია, რომელიც სპეციალიზირებულია სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობაზე: კორპორაციული ღონისძიებები, კონფერენციების მენეჯმენტი, ღონისძიებები ღია ცის ქვეშ და ა.შ. ხელმძღვანელობაზე/ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან მარიამ ყუბუსიძე (აღმასრულებელი დირექტორი) და საბა კიკნაძე (დირექტორი), ხოლო შპს „ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპ“ არის ამ ორგანიზაციის 100.% წილის მფლობელი.

შპს „ექსპლორ ჯორჯია“ (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 31/05/2004) – არის ტურ-ოპერატორული კომპანია, რომელიც აწარმოებს ტურისტულ პროდუქტებს და სერვისებს: სათავგადასავლო ტურები (მთამსვლელობა, სათხილამურო, ცხენოსნობა, ბანაკები, მღვიმეებში ჩასვლა, ჯომარდობა, ექსტრემალური ჯიპ-ტურები); კულტურული ტურები (არქეოლოგია, ფოლკლორი და მუსიკა, ხელოვნება, ხელსაქმე, პილიგრიმობა, სოფლის ტურიზმი); ბუნებაზე ორიენტირებული ტურები (ბოტანიკური, ბერდვოჩინდი, ცხოველთა თვალთვალი, დაცული ტერიტორიები), კომბინირებული ტურები აზერბაიჯანში, სომხეტში, ჩრდილო თურქეთში).

შპს სი თი აუტოს (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 20/08/2007) საქმიანობაა მანქანების გაქირავების სერვისი (მძღოლით ან მძღოლოს გარეშე). მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, ლესია უკრაინკა ქ. №3, ბინა №4. ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან ნიკოლოზ ერქომაიშვილი (დირექტორი) და ლევან ერქომაიშვილი (დირექტორი). პარტნიორი და 100% წილის მფლობელია შპს „ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპ“.

[31] ამ ორი ორგანიზაციას ხელმძღვანელობას ერთიდაიგივე პიროვნებები წარმოადგენენ, მათ შორის საბა კიკნაძე

[32] საფუძველი: საზოგადოების წესდება; 28/11/2007წ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპ“–ის პარტნიორთა კრების ოქმი N1

[33] მაია კიკნაძე არის საბა კიკნაძის და

[34] ამონაწერის მომზადების თარიღი: 06/08/2012 12:02:25

შპს CAUCASIAN SAFARI (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 20/09/2011) მთლიანად ფოკუსირებულია უცხოეთიდან მონადირე ტურისტების შემოყვანაზე. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად (www.caucasiansafari.ge), გარდა საქართველოსი, CAUCASIAN SAFARI ორგანიზაებას უკეთებს სანადირო ტურებს აზერბაიჯანსა და სომხეთში. ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია საბა კიკნაძე (დირექტორი), ხოლო 100% წილის მფლობელი - შპს ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპ.

ამ პრობლემის კვლევის კონტექსტში საინტერესოა ისეთი მოვლენის გააზრებაც, როგორიცაა ე.წ. „მბრუნავი კარი". აღნიშნულ პრობლემას ყურადღება დაუთმო საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ. მათი განმარტებით, ტერმინი „მბრუნავი კარი" გულისხმობს თანამდებობის პირთა მოძრაობას კერძო და საჯარო სექტორებს შორის. ეს მოვლენა შეიძლება სასარგებლო იყოს, რადგანაც ის ბიზნესსა და მთავრობას ერთმანეთისთვის გამოცდილების, ცოდნისა და პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობას აძლევს. ამავე დროს, ის პრობლემად იქცევა მაშინ, როდესაც ინტერესთა კონფლიქტსა და კორუფციას წარმოშობს და ამრიგად ძირს უთხრის კეთილსინდისიერებას საჯარო სექტორში გადაწყვეტილებების მიღების, პოლიტიკის ფორმულირებისა და შესყიდვების წარმოების პროცესში. ამ პრობლემის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმებია: გავლენისა და კავშირების გამოყენება; შიდა ინფორმაციის გამოყენება; ყოფილი ბიზნესის ინტერესების დაცვა თანამდებობის დაკავების შემდეგ; სამომავლო დასაქმებაზე ზრუნვა თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში[35].

„ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპ"–ის დამფუძნებლები სხვადასხვა დროს საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ. საბა კიკნაძე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობდა 2004 წლის 24 მაისიდან 2006 წლის 27 დეკემბრამდე[36]. სახელმწიფო სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგაც მან საკმაოდ ახლო ურთიერთობა შეინარჩუნა ხელისუფლებასთან, რაზეც შემდეგი ფაქტიც ნათლად მოწმობს: ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისათვის მთაწმინდის პარკის ჩამორთმევის შემდეგ, ის გადაეცა „რაკინ ჯგუფს"[37], ხოლო საბა კიკნაძე „რაკინის" მიერ პარკის სამართავად შექმნილი კომპანიის "International Amusemant Park"-ის გენერალურ დირექტორად დაინიშნა. მას შემდეგ, რაც პატარკაციშვილის ოჯახს დაუბრუნდა მთაწმინდის პარკი, საბა კიკნაძე ჩამოშორდა მის მართვას. აქვე აღსანიშნავია, რომ დათუნა რაქვიაშვილის მეუღლეც „რაკინში" მოღვაწეობდა (თანამდებობრივი პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის თანახმად).

დათუნა რაქვიაშვილი 2008 წელს (თებერვალში/წლის დასაწყისში) დაინიშნა რეინტეგრაციის საკითხებში მინისტრის - თემურ იაკობაშვილის მოადგილედ. 2010 წლის ნოემბერში თემურ იაკობაშვილი დაინიშნა საქართველოს ელჩად ამერიკის შერჩებულ შტატებში[38], ხოლო დათუნა რაქვიაშვილი - ელჩის მოადგილედ, დესპანად, სადაც ამ დრომდე მუშაობს[39].

2008 წლის 15 აპრილს შევსებული თანამდებობრივი პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის თანახმად, დავით დათუნა რაქვიაშვილი იყო შპს „ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპ"-ის, შპს „სი-თი ეს" -ის, შპს „ვიაიპი ბილსი"-ს და შპს „ითიესის" პარტნიორი, ასევე შპს „ჯორჯიან ივენთსის" დირექტორი. ამავე დეკლარაციის თანახმად, მან ამ საწარმოებში თავისი წილები მიანდო მეუღლეს - სოფიო მამარდაშვილს (სანოტარიო აქტები დეკლარაციას თან ახლავს). ასევე ამავე დეკლარაციის მიხედვით, ის მონაწილეობდა ამ საწარმოების საქმიანობაში, როგორც პარტნიორი, დეკლარაციის შევსების მომენტისთვისაც.

2009 წელს შევსებული თანამდებობრივი პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიხედვით, დათუნა რაქვიაშვილი ისევ მონაწილეობდა ამ საწარმოების საქმიანობაში, როგორც პარტნიორი. შპს „სი თი ეს"-დან წინა წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებულმა შემოსავალმა 112500 ლარი შეადგინა, ხოლო ამავე დროის მონაკვეთში შპს „ჯორჯიან ივენტსი"-დან მიღებულმა შემოსავალმა - 50 000 ლარი. ამავე პერიოდში, როგორც შპს „ჯორჯიან ივენტსი"-ს აღმასრულებელმა დირექტორმა მიიღო 14 099 ლარი (როგორც მინისტრის მოადგილემ - 65902,67 ლარი).

დათუნა რაქვიაშვილის 2010 წლის 12 მაისს შევსებულ თანამდებობრივი პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში, აღნიშნულია კიდევ ერთი საწარმო, რომლის საქმიანობაშიც ის მონაწილეობდა 1997-2008 წლებში - შპს „ბეთლემის ქოხი" (რომელიც არ იყო წინა წლებში აღნიშნული დეკლარაციებში). ასევე, 2010 წლის დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ მან შპს „სი თი ეს"-დან 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიიღო შემოსავალი 97500 ლარი, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ 2008 წლის 30 იანვრიდან არ მონაწილებდა მის საქმიანობაში.

---

[35] http://transparency.ge/node/2743

[36] საქართველოს პრემიერ-მინისტის N 564 (23.04.2004) და N333 (27.12.2006)

[37] http://www.civil.ge/eng/article.php?id=20507

[38] საქართველოს პარლამენტის 2010 წ. 24 ნოემბრის N3848-რს დადგენილება.

[39] http://usa.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=138

დიპლომატიურ სამსახურში გადასვლის შემდგომ, დათუნა რაქვიაშვილს აღარ შეუვსია. 2011 წლის 6 იანვარში მან კუთვნილი 40% წილი შპს „ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპ“-ში გაასხვისა მეუღლეზე სოფიო მამარდაშვილზე 918924 ლარად, გადახდის გადავადების უფლებით.

„ჯორჯიან ჰოსფითალითი გრუპ“-ში შემავალი კომპანიებისათვის უცხო არ იყო სახელმწიფო პროექტების განხორციელებაში მონაწილეობა. მაგალითად, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „მსოფლიო ღვინის კონგრესის” ორგანიზებისათვის, რომელიც 2010 წლის ივლისში საქართველოში გაიმართა, 1 მილიონ 406 ათასი ლარი გამოიყო. საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებით, „სამტრესტს” უფლება მიეცა, კონგრესისთვის მომსახურების შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით განეხორციელებინა. ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა კი ღონისძიების ორგანიზება, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, კომპანია „ჯორჯიან ივენტსს” დაავალა და 1,4 მილიონი ლარი მთლიანად მას გადაურიცხა[40].

აქვე აღსანიშნავია, რომ გარდა ლას ვეგასში მონაწილეობისა, საბა კიკნაძემ არაერთხელ ისაუბრა მედიის საშუალებით დადებით კონტექსტში „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობებზე ნადირობის დაშვების თაობაზე. საგანგებოდ ამ საქმისათვის შექმნილ შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოების „Caucasian Safari“-ს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სარეკლამო ბროშურის მეშვეობით, ორგანიზაციამ მოიწვია უცხოეთიდან, აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიური ჯიხვების, კავკასიური არჩვის, შვლის და სხვა ცხოველების მოკვლის მსურველი მონადირეები. ჯიხვების და არჩვის სანადირო სეზონის გაგრძელება ზაფხულის თვეებში უმალ აისახა ამ ბროშურის შინაარსზე (ვებ-გვერდზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით, ბროშურის მეშვიდე - ბოლო განახლება მოხდა 2012 წლის თებერვალში)[41].

[40] http://liberali.ge/ge/liberali/articles/108506/

[41] http://www.caucasiansafari.ge/brochure.pdf

არშემდგარი ნადირობა

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაწეულმა ძალისხმევამ, საბოლოოდ თავისი შედეგი გამოიღო. გარემოსდაცვითი ორგანიზაციების განცხადებებს, მწვანე ალტერნატივას მიერ წარმოებულმა სასამართლო პროცესებს, საერთაშორისო ექსპერტებისა და ორგანიზაციების მიერ დაფიქსიებული პოზიციებს, ელექტრონულ პეტიციებს, გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ორგანიზებულ საპროტექტო აქციებს[42] საკმაოდ ინტენსიურად აშუქებდა მედია, მათ შორის საერთაშორისო მედია[43]. იშვიათ და საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე ნადირობასთან დაკავშირებით ქვეყანაში ჩამოყალიბდა მკვეთრად უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი. ყოველივე ამან, ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ უარი ეთქვა უკვე დამტკიცებული სანადირო კვოტების გამოყენებაზე (როგორც „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, ისე სხვა სახეობებზე) და დაეწყო რეალური კვოტების დასადგენად სამეცნიერო კვლევების განხორციელება.

2012 წლის 7 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ (გ. ხაჩიძე) და სსიპ ბუნებივი რესურსების სააგენტომ (ა. ხეთაგური) გამოსცეს ერთობლივი ბრძანება, „ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვა/შესწავლისათვის კვლევითი მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ერთობლივი ტენდერის გამოცხადების თაობაზე“. ამ ერთობლივი ბრძანებით, ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვა/შესწავლისათვის კვლევითი მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი. ამავე ბრძანების თანახმად, შესყიდვა ხორციელდებოდა სსიპ ბუნებივი რესურსების სააგენტოს საკუთარი შემოსავლებით განსაზღვრული ხარჯების ფარგლებში, სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად. ტენდერში გამარჯვებულს საბოლოო დასკვნის წარმოდგენა სააგენტოში უნდა უზრუნველეყო 2012 წლის 1 დეკემბრამდე. გამოქვეყნებული სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 186500 ლარი. განცხადების მიხედვით, სასურველი იყო ტენდერში მონაწილეობა მიეღო შესაბამისი პროფილისა და გამოცდილების მქონე სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებას. გასაწევ მომსახურებაში შედიოდა ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვა/შესწავლის მიზნით კვლევის ჩატარება საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა). კვლევას უნდა მოეცვა ძუძუმწოვართა 19 და ფრინველთა 7 სახეობა - როგორც „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, ისე სხვა სანადირო სახეობები.

ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტმა და შეუდგა კვლევებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამრიგად, მოვლენათა ამგვარი განვითარების გამო, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ვერ მოახერხა 2012 წლის ზაფხულში ნადირობის ლიცენზიების გაცემა „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივად ამისათვის „ყველაფერი წინასწარ მოგვარებული ქონდათ“ (სანადირო სეზონის გაგრძელება მინისტრის ბრძანებით, ჯიხვებზე კვოტების დამტკიცება მთავრობის განკარგულებით). ინსტიტუტმა კვლევის ანგარიში, ტენდერის პირობების შესაბამისად, 2012 წლის ბოლოს წარუდგინა სამინისტროს. როგორც გამოქვეყნებული ანგარიშიდან გახდა ცნობილი, სანადირო პოპულაციების მდგომარეობის გამო, არ არის მიზანშეწონილი/შესაძლებელი ნადირობა „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე: აღმოსავლეთ კავკასიურ ჯიხვზე, დასავლეთ კავკასიურ ჯიხვზე, არჩვზე, ნიამორზე, დათვზე, კავკასიურ შურთხზე, კასპიურ შურთხზე, კავკასიურ როჭოზე - მცირერიცხოვნობისა და საბინადრო გარემოში დაბალი სიმჭირდოვის გამო.

საზოგადოებრივი რეზონანსის გამო, „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე ნადირობის თემა პოლიტიკურ დღის წესრიგში დადგა. საპარლამენტო არჩევნებისათვის კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ მომზადებულ საარჩევნო პროგრამაში დიდი ადგილი დაიკავა გარემოს დაცვის საკითხებმა და მის ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოცხადდა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდგომ შემდგომ, ყველას გაუჩნდა იმედი, რომ ნადირობა დაცულ სახეობებზე აიკრძალებოდა. ასევე გაჩნდა იმედი, რომ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდებოდა ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და ცხადი გახდებოდა, ვინ და ვისთვის ლობირებდა ამ საკითხს. აღნიშნული ვარაუდის საფუძველს ქმნიდა ახალი მთავრობის მიერ გაცხადებული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ბუნებრივი რესურსების მართვა ისევ გარემოს დაცვის სამინისტროში გადაინაცვლებდა და პარლამენტის მიერ დამტკიცებული სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“, სადაც ერთ-ერთ პრიორიტეტად ისევ გარემოს დაცვა იყო დასახელებული.

---

[42] რეპორტაჟი გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფის საპროტესტო აქციიდან - http://dfwatch.net/georgia-allows-hunting-of-endangered-species-57870

[43] http://www.tol.org/client/article/23001-georgia-says-come-kill-our-threatened-species.html; http://ens-newswire.com/2011/10/13/georgian-environmentalists-fear-hunting-free-for-all/; http://www.themoscowtimes.com/opinion/article/endangered-species-are-poached-not-protected/454080.html;

სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გამო, ბუნებრივი რესურსების მართვის კომპეტენციის გადაცემა ენერგეტიკიდან გარემოს დაცვის სამინისტროზე დროში საკმაოდ გაიწელა. შესაბამისი კანონები (50-მდე კანონი ჯამში) პარლამენტმა 2013 წლის 25 მარტს მიიღო, ხოლო ძალაში ეს კანონები შევიდნენ 2013 წლის მაისში. ამ რვა თვის ხნის განმავლობაში სხვადასხვა ექსპერტებმა და ორგანიზაციებმა არაერთხელ უშედეგოდ მიმართეს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ კახა კალაძეს, გაეუქმებინა ტყითსარგებლობასთან, მათ შორის დაცულ სახეობებზე ნადირობასთან დაკავშირებული მინისტრის ბრძანებები. ეს საკითხი მხოლოდ მას შემდეგ გადაწყდა, რაც სფეროს მართვა კვლავ გარემოს დაცვის სამინისტროს გადაეცა.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებისა და ახალი მთავრობის დამტკიცების შემდგომ, მწვანე ალტერნატივამ განცხადებით (31.10.2012, N 04/6-73) მიმართა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს კახა კალაძეს, რომლითაც ითხოვდა ნადირობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცვლილებების მომზადებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებში მონაწილე ექსპერტებისა და ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას. ამ განცხადების საპასუხოდ, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, 2012 წლის 6 ნოემბრის N08/3093 წერილით, რომელსაც ხელს აწერდა იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ხმალაძე, უარი უთხრა მწვანე ალტერნატივას მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდებაზე. წერილის თანახმად, კონსულტაციებს ზეპირი ფორმა ქონდათ და მათი ამსახველი დოკუმენტაცია (ოქმები) არ მოიპოვება. კონსულტაციაში მონაწილე სპეციალისტების დასახელებაზე უარის მიზეზის განმარტებისათვის, სამინისტრომ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 29-ე მუხლი. ამ მუხლის თანახმად კი (მუხლი 29. „აღმასრულებელი პრივილეგია“) „თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდა სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით“.

ამრიგად მეტად აბსურდული სიტუაციის წინაშე აღმოვჩნდით:

1. მწვანე ალტერნატივას სარჩელის განხილვისას, რომელიც „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე ნადირობასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე რეგულირების გაუქმებას ეხებოდა, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ სასამართლოზე განაცხადა, რომ ნადირობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცვლილებების მომზადებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებში მონაწილეობდნენ გარეშე ექსპერტები და საჯარო კონსულტაციები მიმდინარეობდა - ამდენად გასაჩივრებული მინისტრის ბრძანებების გამოცემისას ადგილი არ ქონია ორჰუსის კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

2. სასამართლოში სამინისტროს განცხადების შესაბამისად, მოვითხოვეთ ინფორმაცია საჯარო კონსულტაციებში მონაწილე ექსპერტებზე;

3. სამინისტრომ გვიპასუხა, რომ არ მოგვცემდა ინფორმაციას გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე საკუთარ თანამშრომლებზე ვინაიდან ამის უფლებას ანიჭებთ კანონი (თუმცა ამ ინფორმაციის მოწოდებას არავინ ითხოვდა. მწვანე ალტერნატივა ითხოვდა საზოგადოებასთან კონსულტაციის ამსახველ მასალებს.

აქედან შეიძლება შემდეგი დასკვნები გამომდინარეობდეს:

1. ან, აღნიშნული აქტების მომზადებისას არ ქონია ადგილი არანაირ კონსულტაციებს გარეშე ექსპერტებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან. აქედან გამომდინარე, ისინი გამოცემული იქნა ორჰუსის კონვენციის დარღვევით, რაც წარმოადგენდა მათი ბათილად ცნობის საფუძველს. ამის აღიარება კი არ უნდოდა სამინისტროს.
2. ან, საქმე გვაქვს ელიტური კორუფციის მორიგ შემთხვევასთან: ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სააგენტოს არ უნდოდა, იმ კერძო პირებისა და მათთან დაკავშირებული საჯარო მოხელეების ვინაობის გამხელა, ვინც ლობირებდა „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ცხოველებზე ნადირობის კანონმდებლობის შემოღებას).

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე მთავრობის გეგმები დაცულ სახეობებზე კომერციული ნადირობის დაწყებასთან დაკავშირებით, არ განხორციელდა, მაინც ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დარჩა.

ბოლოთქმა

საქართველოს მთავრობა ბოლო წლების განმავლობაში ატარებდა პოლიტიკას, რომელიც გულისხმობდა ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურ ათვისებას. „მაქსიმალური ათვისება," ანუ ბუნებრივი რესურსების ისეთი მასშტაბით გამოყენება, რაც მაქსიმალურ ფინანსურ მოგებას მოიტანს, როგორც წესი, მიიღწევა ეკოლოგიური და სოციალური საკითხების უგულებელყოფის ხარჯზე. ასეთი პრაქტიკის შედეგად ხდება ბიოლოგიური მრავალფეროვნების განადგურება, რაც მოსახლეობის სოციალური უფლებების დარღვევასთან ერთად, საბოლოო ჯამში, ქვეყანას მძიმე ეკონომიკურ ტვირთადაც აწვება ხოლმე (ანთროპოგენული ეკოლოგიური კატაკლიზმების, იძულებითი გადასახლების, ბუნებრივი რესურსების განადგურების, ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის დაკარგვის და ა.შ. შედეგად). როგორც წესი, ასეთი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების უკან იმალება კონკრეტული ფინანსური ჯგუფების კერძო ინტერესები, რომელსაც მათთან დაკავშირებული საჯარო მოხელეები წარმოაჩენენ ხოლმე, როგორც სახელმწიფო ინტერესებს. ამ კერძო ინტერესების ლობირება ასევე ხდება „ახალი სამუშაო ადგილების შექმნის", „ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების", სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდის და სხვა მსგავსი არარეალისტური შეპირებებით.

ტრადიციულად, რესურსების ექსპლუატაციის ხარჯზე მაქსიმალური ფინანსური სარგებლის მიღების პოლიტიკა ტარდებოდა ხე-ტყის დამზადების, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისა და წიაღისერული მრეწველობის დარგებში. 2011-2012 წლებში სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ ეს პოლიტიკა გაეტარებინა ნადირობასთან მიმართებაშიც. კერძოდ, დაეკანონებინა იშვიათ და საფრთხის წინაშე მყოფ, დაცულ სახეობებზე კომერციული ნადირობა. ამ მიზნით, დაჩქარებულად და გაუმჭვირვალედ მოხდა საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება. საზოგადოებისა და ექსპერტების პროტესტი და წინადადებები, მხოლოდ მინიმალური სახით იქნა გათვალისწინებული. კანონმდებლობის მიღებიდან ცოტა ხანში, კიდევ უფრო გაიზარდა „წითელ ნუსხაში" შეტანილ სახეობებზე ნადირობის ვადები, ასევე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, დამტკიცებულ იქნა მოპოვების კვოტები.

მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი „წითელ ნუსხაში" შეტანილ სახეობებზე ნადირობის აკრძალვა, რაც ბუნებრივი რესურსების მართვის ფუნქცია ენერგეტიკის სამინისტროდან გარემოს დაცვის სამინისტროში დაბრუნდა. თუმცა, სამწუხაროდ, არც ამ და სხვა შემთხვევებში, ბუნების საზიანო, დანაშაულებრივი კანონმდებლობის გაუქმებას, არც მთავრობისა და არც პარლამენტის მხრიდან არ მოყოლია პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება. არ დადგა არც ერთი საჯარო მოხელის პასუხისმგებლობის საკითხი, ვისი მეშვეობითას მოხდა იმ კანონმდებლობის მიღება, რომელიც გააუქმა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ. უფრო მეტიც, პრაქტიკულად ყველამ შეინარჩუნა საკუთარი თანამდებობა (მხოლოდ გარემოს დაცვის სამინისტროში შეიცვალა მინისტრი და ყველა მოადგილე, ხოლო ენერგეტიკის სამინისტროში - მინისტრი და ზოგიერთი მოადგილე). ყველა დანარჩენი აგრძელებს მოღვაწეობას „რეფორმირებულ" სახელმწიფო უწყებებში, ხოლო ზოგიერთი დააწინაურეს კიდევაც (მაგ. ენერგეტიკის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ხმალაძე მინისტრის მოადგილედ დაინიშნა). სახელმწიფო დაწესებულებებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ არ გაესაჯაროებინათ, რეალურად ვინ იდგა ამ გადაწყვეტილებების უკან. უფრო მეტი ინფორმაციის მიღება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანისათვის, აღემატება არასამთავრობო ორგანიზაციების კომპეტენციას. იმედს გამოვთქვამთ, რომ შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები დაინტერესდებიან ამ საკითხით და მეტი ნათელი მოეფინება - მოხდა თუ არა კერძო ინტერესების სასარგებლოდ საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების შელახვა, ბუნების გადანგურების რისკის ხარჯზე. ასევე უნდა დაინტერესდნენ სატყეო სექტორთან დაკავშირებული ისეთი საკითხებითაც, სადაც აშკარად იკვეთება დაუსაბუთებელი და გაუმჭვირვალედ მიღებული ის გადაწყვეტილებები, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს ქვეყნის ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას და შესაბამისად, ქვეყნის ინტერესებს:

- მერქნის დამზადების მიზნით „წითელ ნუსხაში" შეტანილი წაბლის კომერციული გამოყენების მიზნით დადებული ხელშეკრულებები/გაცემული ლიცენზიები და ამ საკითხთან დაკავშირებული კომპანიები და სახელმწიფო უწყებები;
- 2008 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დამწვარი ბორჯომის ტყეების აღდგენის პროექტის შეჩერება ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მაღალჩინოსნების გადაწყვეტილებით;
- ხარაგაულის სათემო ტყეების განვითარების პროექტის შეწყვეტა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მაღალჩინოსნების გადაწყვეტილებით;
- ახალი ტყის კოდექსის შემუშავება ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ და მასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები;

- ხე-ტყის დამზადების გრძელვადიანი ლიცენზიების გაცემა და მასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტები;
- წინასაარჩევნო პერიოდებში ხე-ტყის დამზადების წესების გაიოლება, უკანონო ჭრასთან დაკავშირებული კანონაღსრულების შესუსტება და ყოველივე ამის შედეგად, გარემოზე მიყენებული ზიანის დადგენა.

ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ამ საკითხების შესწავლის მიზანი აუცილებელად ვინმეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა უნდა იყოს. მაგრამ აუცილებელია, რომ თითოეულმა პოლიტიკური თანამდებობის პირმა თუ საჯარო მოხელემ იგრძნოს პიროვნული პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ასევე ამ საკითხების შესწავლა აუცილებელია ელიტური კორუფციის მექანიზმების აღმოფხვრისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალე, დემოკრატიული პროცედურების დაწესებისათვის. როგორც წარმოდგენილი კვლევა ადასტურებს, ჩვენს ქვეყანაში გადაწყვეტილებების შინაარსს ძირითადად განსაზღვრავს არა ადმინისტრაციული პროცედურებით განმტკიცებული სისტემა, არამედ პირები, რომლებიც კონკრეტულ დროს ხელმძღვანელობენ სახელმწიფო უწყებას. შესაბამისად, არის საშიშროება, რომ უწყებათა ხელმძღვანელების მომდევნო ცვლილებას ავტომატურად მოყვეს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ცხოველებზე ნადირობის იდეის გაცოცხლება. მითუმეტეს, რომ ბუნებრივი რესურსების „მაქსიმალური ათვისების პოლიტიკა“, გარემოსდაცვითი სტანდარტების უგულვებელყოფის ხარჯზე, ისევ აქტუალურია ახალი მთავრობის პირობებშიც.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2000 წელს დაარსდა. მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის, გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გზით.

ორგანიზაცია მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ენერგეტიკა - მოპოვებითი მრეწველობა - კლიმატის ცვლილება; ტრანსპორტის სექტორის მდგრადი განვითარება; ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ხე-ტყის არალეგალური ჭრის აღკვეთა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა; ნარჩენებისა და წყლის მართვა. ამ თემატური მიმართულებების გარდა, მწვანე ალტერნატივას პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა: გარემოსდაცვითი მმართველობის ხელშეწყობა; ინფორმაციაზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესებსა და მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველოფა; გარემოსდაცვითი მართვისა და მდგრადი განვითარების ინსტრუმენტების გაუმჯობესება; ევროპის სამეზობლო პოლიტიკა; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის და საქართველოსთვის გაწეული საერთაშორისო ფინანსური დახმარების მონიტორინგი.

მწვანე ალტერნატივა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2001 წელს მწვანე ალტერნატივამ, საქართველოს სხვა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, დააფუძნა საქართველოში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე დამკვირებელთა ქსელი. 2002 წლიდან მწვანე ალტერნატივა, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მონიტორინგს უწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას, მის შესაბამისობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კოალიციის წევრია. 2006 წელს მწვანე ალტერნატივამ საფუძველი ჩაუყარა ტყის დამოუკიდებელი მონიტორინგის ქსელს. დაარსების დღიდან ასოციაცია არის „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბანკების საქმიანობაზე დამკვირვებელთა ქსელის“ წევრი; ორგანიზაცია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს “დედამიწის მეგობრების” საერთაშორისო ფედერაციასთან, „კლიმატის ცვლილების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქსელთან“, მდგრადი ენერგეტიკის საერთაშორისო ქსელთან, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ გარემოსდაცვით, სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციასთან; მწვანე ალტერნატივა 2008 წელს დაარსებული კოალიციის «გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის» წევრიცაა. 2010 წელს მწვანე ალტერნატივას ინიციატივით დაფუძნდა „საქართველოს მწვანე ქსელი“ - საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ექსპერტების არაფორმალური გაერთიანება, რომელიც მოწოდებულია დაიცვას გარემო, ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას და გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას საქართველოში.

2004 წელს მწვანე ალტერნატივა დაჯილდოვდა გოლდმანის გარემოსდაცვითი ფონდის პრიზით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტზე მიმართული კამპანიის ფარგლებში გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის გაწეული წარმატებული საქმიანობისათვის.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა
თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org